

საქართველოს კანონი

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1., „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №76, 29.12.2010) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის:

ა) „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) „მ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ“-„ჟ“ ქვეპუნქტები:

„ნ) ჯანდაცვითი გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების პროცესში თამბაქოს ინდუსტრიის მონაწილეობისა და ინტერესების დაუშვებლობას, ამ გადაწყვეტილებების დანერგვის პროცესში თამბაქოს ინდუსტრიის ინტერესების დაუშვებლობას და საჯარო დაწესებულებების/სახელმწიფო მოსამსახურეების ურთიერთობათა გამჭვირვალებას და პასუხისმგებლობას;

ო) თამბაქოს ნაწარმის ინგრედიენტის, თამბაქოს ნაწარმისაგან გამოფრქვეული ნივთიერების და თამბაქოს ნაწარმის შეფუთვის კონტროლს;

პ) თამბაქოს მწარმოებელთა და რეალიზატორთა პასუხისმგებლობას, აანაზღაურონ ჯანმრთელობისათვის თამბაქოს წარმოებით და მოხმარებით მიყენებული ზიანი;

ჟ) კანონით დაშვებული სხვა ღონისძიებების განხორციელებას ამ კანონის მიზნების და თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის ამოცანების და პრინციპების შესრულებისათვის“.

2. მე-3 მუხლის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) თამბაქოს ნაწარმი – თამბაქოს ან მისი ელემენტების შემცველი ნებისმიერი ნაწარმი, გარდა ნიკოტინის შემცველი სამკურნალწამლო საშუალებებისა, რომლებიც განკუთვნილია მოსაწევად, დასაღეჭად, საწუწნად ან შესასუნთქად, მათ შორის:

ა.ა) ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტები;

ა.ბ) პაპიროსები, სიგარები და სიგარილები;

ა.გ) საჩიბუხე და ჩილიმისთვის განკუთვნილი თამბაქო;

ა.დ) შესახვევი თუთუნი;

ა.ე) დასაღეჭი, საწუწნი და შესასუნთქი თამბაქო.

ა.ვ) ელექტრონული სიგარეტებისა და სხვა მსგავსი მოწყობილობების ნიკოტინის შემცველი მასალები/კარტრიჯები/კაფსულები.”

ბ) „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა1“ ქვეპუნქტი:

„ა¹) „თამბაქოს აქსესუარი ან/და მისი მოხმარებისათვის განკუთვნილი მოწყობილობა – მუნდშტუკი, ჩიბუხი, ჩილიმი, შესასუნთქი ან საწუწნი თამბაქოს მოწყობილობები, ელექტრონული სიგარეტები და სხვა მსგავსი მოწყობილობები, სიგარეტის ასანთები სპეციალური სანთებლები, თამბაქოს გასახვევი ქაღალდი, თამბაქოს შესახვევი ან დასაჭრელი აპარატი, საფერფლე, ნებისმიერი სახის პორტსიგარა ან სხვა საგნები, რომლებიც განკუთვნილია უპირატესად თამბაქოს მოხმარებისათვის ან/და შენახვისათვის, აგრეთვე სიგარეტის, მისი კოლოფის და ზემოაღნიშნული საგნების ილუსტრაციები ან გამომსახველი სხვა საგნები;“;

გ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) თამბაქოს მოწევა - თამბაქოს ნაწარმის წვის ან გახურების შედეგად გამოყოფილი კვამლის შესუნთქვა;“;

დ) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) სამედიცინო გაფრთხილება – თამბაქოს მოწევის მავნებლობის შესახებ გამაფრთხილებელი წარწერა, რომელიც უნდა მოიცავდეს შესაბამის პიქტოგრამას;“;

ე) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) თამბაქოს ნაწარმის ინგრედიენტი - თამბაქოს ნაწარმის შემადგენლობაში მყოფი თამბაქო, დანამატი, ნებისმიერი ნივთიერება ან ელემენტი ქაღალდის, ფილტრის, კაფსულის, მელნის და წებოს ჩათვლით;“;

ვ) „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ¹“ ქვეპუნქტი:

თ¹) დანამატი - ნებისმიერი ნივთიერება ან მასალა, გარდა თამბაქოს ფოთლისა, რომელიც ემატება თამბაქოს ნაწარმს“;

ზ) „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) თამბაქოს ნაწარმისგან გამოფრქვეული ნივთიერება - ნივთიერება, რომლებიც გამოიყოფა თამბაქოს ნაწარმის დანიშნულებისამებრ მოხმარების შედეგად, როგორცაა სიგარეტის ან სხვა სახის მოსაწევი თამბაქოს კვამლში შემავალი ნივთიერება გამოყოფილი მოსაწევი თამბაქოს მოხმარების შედეგად, აგრეთვე სადეჭი, საწუწნი, შესასუნთქი თამბაქოს მოხმარების შედეგად გამოყოფილი ნივთიერება“;

თ) „ლ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ი) „ჟ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს

კ) „ს“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

ლ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ფ“ და „ქ“ ქვეპუნქტები:

„ფ) შენობა-ნაგებობა - ნებისმიერი კონსტრუქცია (გარდა სატრანსპორტო საშუალებისა), რომელსაც გააჩნია იატაკი, ნებისმიერი სახის სახურავი ან ჭერი და ზედაპირის (გარდა სახურავისა, ჭერისა, იატაკისა) მინიმუმ 1/2-ზე გააჩნია ნებისმიერი სახის კედლები (ღია ან დახურული ფანჯრის და კარის ჩათვლით).“

„ქ) **საზოგადოებრივი ტრანსპორტი** - ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გამოიყენება ადამიანების გადასაყვანად, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ ან/და კომერციული მოგების მიზნით, ტაქსების ჩათვლით.“

3. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. თამბაქოს კონტროლის ღონისძიებები და თამბაქოს კონტროლის სფეროს მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

1. საქართველოს მთავრობა ახორციელებს თამბაქოს კონტროლის გრძელვადიან სახელმწიფო სტრატეგიას და ყოველწლიურ სახელმწიფო პროგრამას.

2. საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით განისაზღვრება:

ა) საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმისგან გამოფრქვეული ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები ნორმები, გაზომვისა და რეგულირების წესები, თამბაქოს კონტროლის სფეროში მოქმედი საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით;

ბ) თამბაქოს ნაწარმზე (კოლოფზე/ბლოკზე, შეფუთვაზე) სამედიცინო გაფრთხილებების და პიქტოგრამების დატანის წესი.

3. თამბაქოს ნაწარმისგან გამოფრქვეული ნივთიერებების გაზომვა უნდა უზრუნველყოს თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელმა ან/და იმპორტიორმა საკუთარი ხარჯებით. თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელმა ან/და იმპორტიორმა უნდა დაადასტუროს გაზომვის სტანდარტების შესაბამისად ჩატარება და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ყოველი წლის 31 მაისამდე უნდა წარუდგინოს სრული დოკუმენტაცია ამ საკითხის შესახებ. თამბაქოს მწარმოებელი ან/და იმპორტიორი უზრუნველყოფენ თამბაქოს ნაწარმის შესაბამისობას ამ დოკუმენტაციაში მითითებულ მონაცემებთან.

4. ამ კანონით განსაზღვრული თამბაქოს წარმოების, იმპორტის და რეალიზაციის აკრძალვის/შეზღუდვის წესები გათვალისწინებულ უნდა იქნეს დაწესებულებათა სალიცენზიო, სანებართვო ან/და საავტორიზაციო პირობებში.

5. თამბაქოს კონტროლის სფეროში ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულების შემოწმება არ წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობის კონტროლს და შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება.

6. საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით განისაზღვრება ჯანდაცვითი გადაწყვეტილებების მომზადების, მიღებისა და დანერგვის პროცესში თამბაქოს ინდუსტრიის და მასთან პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებული კერძო სამართლის იურიდიული პირების და ფიზიკური პირების, აგრეთვე საჯარო

დაწესებულებების/სახელმწიფო მოსამსახურეების მონაწილეობის და მათი ინტერესების დაუშვებლობის რეგულირების საკითხი.

4. მე-5 მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და მისი მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობების რეალიზაცია ან/და განლაგება“;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და მისი მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზაცია ან/და განლაგება:

ა) საგანმანათლებლო (ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო, პროფესიული), სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე 50 მეტრის რადიუსში (დაწესებულების ტერიტორიის უახლოესი წერტილიდან);

ბ) საჯარო დაწესებულებაში, ყველა სახის სამედიცინო, სპორტულ და კულტურულ დაწესებულებაში და მათ კუთვნილ ტერიტორიაზე;

გ) სავაჭრო ობიექტების იმ სექციებში, სადაც ბავშვთა ტანსაცმელი, კვების პროდუქტები და სათამაშოები იყიდება;

დ) ერთეული ღირებით, ერთეული შეფუთვით (კოლოფით), თუ მასში 20 ღერ სიგარეტზე ნაკლებია ან მეტია;

ე) შეფუთვის გარეშე;

ვ) 18 წლამდე პირებზე;

ზ) ელექტრონული ან მექანიკური მანქანის საშუალებით, აგრეთვე იმგვარად, რომ უშუალოდ მიუწვდებოდეს ხელი მომხმარებელს;

თ) თუ საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმი დამზადებულია საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით;

ი) უფასოდ ან თვითღირებულებაზე დაბალ ფასად, მათ შორის, სამხედრო მოსამსახურეების სადღეღამისო ულუფაში შეტანით.

კ) ინტერნეტით ან ფოსტით (საცალო ვაჭრობა);

ლ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე 50 მეტრის რადიუსში;

მ) ვიტრინებზე, ვიტრაჟებზე, დახლზე, თაროზე ან ნებისმიერი სხვა სახით იმგვარად, რომ იგი ხილვადია ობიექტის გარედან;

ნ) ვიტრინებზე, ვიტრაჟებზე, დახლზე, თაროზე ან ნებისმიერი სხვა სახით იმგვარად, რომ იგი ხილვადია ობიექტის შიგნიდან;

ო) თამბაქოს ნაწარმის ან მისი აქსესუარების რეალიზაცია იმგვარად, რომ ობიექტიდან მისი მიწოდება ხდება უშუალოდ სატრანსპორტო საშუალებაში მსხდომთათვის;

გ) მე-3-მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და მისი მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების საშუალებით დარიგება ან გათამაშება, ან რაიმე სხვა ფორმით გათამაშება ან/და ამგვარ ღონისძიებებში თამბაქოს ნაწარმის, ან მისი რომელიმე ნაწილის საშუალებით, ან მათი განაწილებით მონაწილეობა. ასევე, ყველა სხვა სახით თამბაქოს ნაწარმის პოპულარიზაცია, მათ შორის:

ა) საჩუქრების გაცემა ან შეთავაზება, თამბაქოს ნაწარმის გადაცემა ან გასინჯვის შეთავაზება თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის მიზნით.

ბ) ინიციატივის განმტკიცება ან ერთგულების სქემები, როგორცაა კუპონების დარიგება თამბაქოს ნაწარმის გაყიდვისას.

გ) პირდაპირი პერსონალური კომუნიკაციები, ქსელური მარკეტინგი, რომელიც ახდენს ან შესაძლოა მოახდინოს თამბაქოს ნაწარმის, ან თამბაქოს მწარმოებლის ან საბითუმო მოვაჭრის პოპულარიზაცია.

დ) ინდივიდებზე გამიზნული საპოპულარიზაციო მასალები, მათ შორის საინფორმაციო მასალები, როგორცაა პირდაპირი გზავნილი, ტელემარკეტინგი, მომხმარებელთა კვლევა რომელიც ახდენს ან შეიძლება მოხდინოს თამბაქოს ნაწარმის, ან თამბაქოს მწარმოებლის ან საბითუმო მოვაჭრის პოპულარიზაცია.

ე) თანხის გადახდა, ჯილდო ან სხვაგვარი წვლილის შეტანა საცალო მოვაჭრის საქმიანობაში, რომელიც გამიზნულია მათი მოტივირებისთვის გაყიდონ მეტი თამბაქოს ნაწარმი რომელიც გამიზნულია მათი მოტივირებისთვის

ვ) თამბაქოს მწარმოებლის, იმპორტიორის ან საბითუმო მოვაჭრის, მათთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული პირების მიერ თანხის გადახდა ან სხვაგვარი წვლილის შეტანა ღონისძიებაში, ინდივიდუალური პირის ან ორგანიზაციის საქმიანობაში, რომელიც შედეგად ახდენს ან შესაძლოა მოახდინოს თამბაქოს ნაწარმის, მწარმოებლის, იმპორტიორის ან საბითუმო მოვაჭრის ან მათი წარმომადგენლის პოპულარიზაცია.

ზ) ისეთი სათამაშოების, ტკბილეულის ან სხვა არათამბაქოს ნაწარმის გაყიდვა ან დარიგება რომელიც წარმოადგენს თამბაქოს ნაწარმის ან მისი მოხმარების ილუსტრაციას, სიმულაციას ან იმიტირებას.

4. თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის ადგილებში უნდა განთავსდეს კანონმდებლობით დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილება და თამბაქოზე უარის თქმის მსურველთათვის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი კონსულტაციის მისაღებად, აგრეთვე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არასრულწლოვნებზე თამბაქოს ნაწარმის გაყიდვა აკრძალულია. ასეთი სამედიცინო გაფრთხილება უნდა განთავსდეს არანაკლებ A4 ფორმატის ქაღალდზე.“.

5. თუკი თამბაქოს ნაწარმის რეალიზატორი ვერ ადასტურებს, რომ თამბაქოს ნაწარმის მყიდველი პირი სრულწლოვანია, იგი ვალდებულია, რომ უფლებამოსილია პირს მოსთხოვოს მისი სრულწლოვანების დამადასტურებელი დოკუმენტი და მხოლოდ სრულწლოვანებაში დარწმუნების შემდეგ მიჰყიდოს მას თამბაქოს ნაწარმი.“.

5. მე-6 მუხლის:

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის დასახელება, მისი შეფუთვის ან/და ეტიკეტის რომელიმე ელემენტი არ უნდა შეიცავდეს რაიმე ყალბ, შეცდომაში შემყვან ან არასწორი წარმოდგენის შემქმნელ ინფორმაციას თამბაქოს ნაწარმის თვისებების, მავნე ზემოქმედების ან გამოფრქვეული მავნე ნივთიერებების შესახებ, ასევე არ შეიძლება გამოყენებული იქნეს საქართველოს სახელმწიფო ან/და რომელიმე უცხოურ ენაზე რაიმე ისეთი სიტყვა, სავაჭრო ნიშანი, ამხსნელი სიტყვა, აბრევიატურა ან გამოსახულება, გრაფიკი, ციფრი, ფერი, ნიშანი, რომელიც პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით შექმნის არასწორ წარმოდგენას თამბაქოს ნაწარმის ნაკლებ მავნებლობაზე სხვა ნაწარმთან შედარებით, მათ შორის მათი გამოყენება ბრენდის ან სავაჭრო ნიშნის დასახელებაში. ზოგიერთი ასეთი სიტყვაა: „მსუბუქი“, „რბილი“, „ნაკლებად მძაფრი“, „ულტრამსუბუქი“, „დაბალი შემცველობით“, „ექსტრა“, „ულტრა“, „მენტოლი“.

2. თამბაქოს ნაწარმის თითოეულ კოლოფსა/შეფუთვისა და ბლოკზე განთავსებული უნდა იყოს კანონმდებლობით დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილება, რომელიც უნდა მოიცავდეს ძირითად გაფრთხილებას, დამატებით გაფრთხილებას (საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული შესაბამისი პიქტოგრამით) და საკონტაქტო ტელეფონის ნომერს.“.

ბ) მე-3-მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს მთავრობა ამტკიცებს ძირითადი სამედიცინო გაფრთხილების 3 ნიმუშს, დამატებითი სამედიცინო გაფრთხილების 9 ნიმუშს და შესაბამისი პიქტოგრამის 9 ნიმუშს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს, აგრეთვე სამედიცინო გაფრთხილებებისა და თამბაქოს ნაწარმის მოხმარების შედეგად გამოფრქვეული ნივთიერებების შესახებ წარწერის კომპიუტერულ შრიფტსა და ზომას, გამოსახულების ხარისხის შესაბამის პარამეტრებს.

4. პიქტოგრამის ნიმუში უნდა შეესაბამებოდეს და შეიცავდეს დამატებითი სამედიცინო გაფრთხილების ტექსტს და უნდა იკავებდეს სამედიცინო გაფრთხილების სრულ მოცულობას.

5. სამედიცინო გაფრთხილებები ექვემდებარება როტაციას შემდეგი სახით:

ა) თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელმა ან/და იმპორტიორმა წლის განმავლობაში ყველა ძირითადი სამედიცინო გაფრთხილება უნდა გამოიყენოს იმგვარად, რომ ისინი თანაბრად განაწილდეს გასაყიდი თამბაქოს ნაწარმის ყოველი სახეობის კოლოფებსა/შეფუთვისა და ბლოკებზე;

ბ) თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელმა ან/და იმპორტიორმა წლის განმავლობაში უნდა აირჩიოს 3 დამატებითი სამედიცინო გაფრთხილება, შესაბამისი პიქტოგრამებით, იმგვარად, რომ ისინი თანაბრად განაწილდეს გასაყიდი თამბაქოს ნაწარმის ყოველი სახეობის კოლოფებსა/შეფუთვისა და ბლოკებზე.

გ) მე-6 პუნქტის:

გ.ა) „ა“-„გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) დაწერილი გარკვევით და მკაფიოდ;

ბ) დაბეჭდილი შეფუთვაზე, გარდა გარე გამჭვირვალე შეფუთვისა, არ უნდა იყოს დაფარული, დამახინჯებული ან შეცვლილი და თამბაქოს ნაწარმის შეფუთვის გახსნისას არ უნდა დაზიანდეს ან არ უნდა მოსცილდეს მას;

გ) დაბეჭდილი კომპიუტერული შრიფტით, გამუქებულად, თეთრ ფონზე შავი ასოებით ან შავ ფონზე თეთრი ასოებით; თეთრი ფონი შემოფარგლული უნდა იყოს შავი ჩარჩოთი, ხოლო შავი ფონი – თეთრი ჩარჩოთი, რომელიც არ კვეთს და არ ეხება ასოებს; ჩარჩოს ხაზის სისქე არ უნდა იყოს 3 მმ-ზე ნაკლები და 4 მმ-ზე მეტი“;

გ.ბ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) განთავსებული შეფუთვის წინა და უკანა გვერდებზე, ზედა და ქვედა კიდეების პარალელურად, და არ უნდა იკავებდეს უკანა გვერდის საერთო ფართობის 65 პროცენტზე ნაკლებს და წინა გვერდის 65 პროცენტზე ნაკლებს, რომლებშიც არ შედის შემომფარგვლელი ხაზები“;

გ.გ) „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) დამატებითი გაფრთხილება განთავსდეს კოლოფის წინა გვერდზე, ხოლო ძირითადი გაფრთხილება უკანა გვერდზე.“;

6. მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებული იქნეს.

7. მე-8 და მე-9 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. დამხმარე საგნების გამოყენება

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აკრძალულია დამხმარე საგნების გამოყენება, მანიპულირება, ტრანსპორტირება ან რეალიზაცია, თუ არსებობს ამ საგნებიდან თამბაქოში, მათ ზედაპირზე, თამბაქოს მოხმარებისას გამოყოფილ კვამლში ან სხვა პროდუქტებში დამატებით საშიში ნივთიერებების გადასვლის საფრთხე.“.

მუხლი 9. თამბაქოს ექსპორტი და იმპორტი

1. თამბაქოს ექსპორტი და იმპორტი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ამ კანონით დადგენილი რეგულაციები არ ვრცელდება პირის მიერ საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში ერთი კალენდარული დღის, ხოლო სხვა შემთხვევაში - 30 კალენდარული დღის განმავლობაში 400 ლერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის ან ამ ზღვრული ოდენობის ფარგლებში თამბაქოს ამ პუნქტში დასახელებული ნაწარმის საერთო წონით 250 გრამის იმპორტის შემთხვევებზე.

8. მე-10 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს:

„1. თამბაქოს მოწევა აკრძალულია:

ა) ნებისმიერი დანიშნულების შენობა-ნაგებობაში, გარდა ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილისა (თუ ეს ფიზიკური პირი/ამ ფიზიკური პირის ოჯახი ფაქტობრივად ცხოვრობს ამ საცხოვრებელ ადგილას), თამბაქოს კვამლის შემსწავლელი სპეციალიზირებული ლაბორატორიული დანადგარებისა, აგრეთვე პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებისა;

ბ) საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მათ შორის, ავტობუსში, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებაში, საჰაერო ხომალდში, მეტროპოლიტენში, მატარებელში, ტრამვაისა და ტროლეიბუსში, გემზე და სხვა სანაოსნო საშუალებებზე, გარდა ტაქსისა და კატერისა;

გ) საგანმანათლებლო (ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო, პროფესიული), სააღმზრდელო, და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების, ნებისმიერი სხვა სასწავლო დაწესებულების, ბიბლიოთეკის, მოსწავლე-ახალგაზრდობის ბანაკების, ბავშვთა გასართობი ცენტრების და 18 წლამდე პირებისთვის განკუთვნილი სხვა დაწესებულებების შენობა-ნაგებობებში და ტერიტორიაზე, აგრეთვე 18 წლამდე პირებისთვის განკუთვნილ საზოგადოებრივ შეკრებებზე;

დ) სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებათა შენობა-ნაგებობებში და ტერიტორიაზე;

ე) ბენზინგასამართი, გაზგასამართი და გაზგამანაწილებელი სადგურების, აგრეთვე იმ დაწესებულებათა შენობა-ნაგებობებში და ტერიტორიაზე, სადაც ინახება ცეცხლსაშიში ნივთიერებები;

ვ) სტადიონებზე;“.

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში თამბაქოს მოხმარების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით.

გ) მე-2 და მე-3 პუნქტები ამოღებულ იქნეს;

დ) მე-5 და მე-6 პუნქტები ამოღებულ იქნეს;

ე) მე-7 და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

7. აკრძალულია თამბაქოს მოწევის ან მოხმარების სხვა ფორმების დემონსტრირება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, სხვა ბეჭდური ან ელექტრონული საშუალებით,

მასობრივი ჩვენებისა და თეატრალური წარმოდგენის მეშვეობით, თუ ეს არ არის ღია სივრცეში პირდაპირი ეთერის მიმდინარეობისას კადრში მწვევლის შემთხვევითი მოხვედრა ან “რეკლამის შესახებ” საქართველოს კანონით რეგულირებული 2018 წლის 1 იანვრამდე დამზადებული 18 წლამდე არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ფილმი ან პროდუქცია.

8. დაწესებულებათა ხელმძღვანელები/მფლობელები პასუხისმგებელი არიან:

ა) მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ დაწესებულებებში ამ კანონით განსაზღვრული მოწვევის აკრძალვის/შეზღუდვის უზრუნველყოფაზე;

ბ) შეიმუშაონ და დაამტკიცონ თამბაქოს მოწვევასთან დაკავშირებით შესაბამის დაწესებულებაში მოქმედი წესები ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად;

გ) თამბაქოს მოწვევასთან დაკავშირებით შესაბამის დაწესებულებაში მოქმედი წესების შესახებ მასალა და მოწვევის აკრძალვის წარწერა და ნიშანი განათავსონ დაწესებულების ტერიტორიაზე და შენობების ყველა შესასვლელში და სხვა თვალსაჩინო ადგილებში;

დ) არ დაუშვას, ხოლო დარღვევის შემთხვევაში, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, დაუყოვნებლივ აღკვეთოს დაწესებულებაში თამბაქოს მოხმარება იმ ადგილებში სადაც კანონით მოწვევა აკრძალულია.”

9. კანონის მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. კანონის შესრულების სახელმწიფო კონტროლი

1. ამ კანონის შესრულების სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ამ კანონის შესრულების მიზნით, შესაბამისმა კომპეტენტურმა დაწესებულებებმა, ადმინისტრირების საკითხების დაზუსტების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშაონ და გამოსცენ შესაბამისი სამართლებრივი აქტები.“

10. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 12¹ მუხლი:

„მუხლი 12¹. გარდამავალი დებულებანი

1. 2018 წლის 1 იანვრამდე დასაშვებია კაფე-ბარების, რესტორნების და საზოგადოებრივი კვების სხვა ობიექტების, სამორინეების, სათამაშო აპარატების სალოების ან/და აზარტული კლუბების შენობა-ნაგებობებში ამ დაწესებულებების ადმინისტრაციის მიერ სპეციალური მოსაწვევი ადგილის (ადგილების) გამოყოფა. ეს სპეციალური მოსაწვევი ადგილი (ადგილები) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) არ უნდა იკავებდეს შესაბამისი დაწესებულების საერთო ფართობის 50%-ზე მეტს;

ბ) ჰქონდეს ვენტილაცია ან ღია სივრცეში გამავალი ფანჯარა.

2. 2018 წლის 1 იანვრამდე დასაშვებია საჯარო დაწესებულებების, სილამაზის სალონების, მაღაზიების და სხვა სავაჭრო ობიექტების, კერძო ოფისების, ქარხანა-ფაბრიკების, საამქროების, საწყობების, ტერმინალების და სხვა მსგავსი დაწესებულებების შენობა-ნაგებობაში სპეციალური მოსაწვევი ადგილი (ადგილები) გამოყოფა. ეს სპეციალური მოსაწვევი ადგილი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) არ უნდა იკავებდეს დაწესებულების საერთო ფართის 5%-ზე მეტს;

ბ) სრულად (კედლებით) გამიჯნული უნდა იყოს დაწესებულების სხვა ნაწილებისაგან/ტერიტორიისაგან;

გ) ჰქონდეს ვენტილაცია ან ღია სივრცეში გამავალი ფანჯარა.

3. 2020 წლის 1 იანვრამდე დასაშვებია სტადიონის ტერიტორიის არაუმეტეს 50%-ში თამბაქოს მოწევა. ასეთ გადაწყვეტილებას იღებს სტადიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

4. საქართველოს მთავრობამ 2017 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს ამ კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ნორმატიული აქტის მიღება.

5. 2020 წლის 1 იანვრამდე დასაშვებია თამბაქოს მოწევა სასტუმროს ნორმების არაუმეტეს 20%-ში. დაუშვებელია სასტუმროს მოსაწევ და არმოსაწევ ნომრებში თამბაქოს მოწევის რეჟიმის ცვლილება. მოსაწევი ოთახების ნომრები უნდა გამოიყოს სასტუმროს ადმინისტრაციის სპეციალური ბრძანებით, რომელიც უნდა განთავსდეს სასტუმროს თვალსაჩინო ადგილზე.”

მუხლი 2.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ მე-4 მუხლის მე-6 პუნქტისა, პირველი მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“-„ო“ ქვეპუნქტებისა, პირველი მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „გ.ბ“ და „გ.გ“ ქვეპუნქტებისა და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი და პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ და „ო“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2017 წლის 1 აპრილიდან.

4. ამ კანონის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „გ.ბ“ და „გ.გ“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

5. ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონის პროექტზე

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავება განაპირობა საქართველოში თამბაქოს აქტიური და პასიური მოხმარების მაღალი მაჩვენებლების შედეგად სიკვდილობის, დაავადებულობის და ეკონომიკური ტვირთის მასშტაბებმა, აგრეთვე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების სრულფასოვანი აღსრულების აუცილებლობამ და საქართველოსა და ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული დირექტივებისა და რეკომენდაციების განხორციელების საჭიროებამ და აღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამ, კერძოდ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, პრიორიტეტად აღიაროს მოქალაქეთა ჯანმრთელობა და ადამიანის სიცოცხლის დაცვა; არამწველობის ნორმად აღიარება და თამბაქოს კვამლისგან თავისუფალ ჰაერზე და თამბაქოს მეორადი კვამლის მავნე ზემოქმედებისგან დაცულობაზე თითოეული მოქალაქის უფლების ცნობა; თამბაქოს მოხმარების გავრცელების მყარი ყოველწლიური შემცირების აუცილებლობა საზოგადოების ყველა სექტორში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია მიზანმიმართულად და სრულყოფილად გაიწეროს ყველა ის ფაქტობრივი გარემოებები და შემზღუდველი ნორმები, რომლის განუხრელად შესრულების შედეგადაც შესაძლებელი გახდება საზოგადოებაში ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრება თამბაქოს მოხმარების მავნე ნივთიერებების ზემოქმედების გარეშე და მიღწეული იქნება საქართველოს მიერ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების რეალიზება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის ძირითადი არსია კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად სრულყოფილად იქნეს გაწერილი ყველა კონკრეტული შემზღუდველი ნორმები მიმართული თამბაქოს წარმოების და მისი მოხმარების მავნე ზემოქმედების შედეგების თავიდან ასაცილებლად. ჩამოყალიბდეს საზოგადოებაში ჯანსაღი დამოკიდებულება თამბაქოს მავნელობასთან მიმართებაში. პრევენციული ზომების გატარების შედეგად მაქსიმალურად შევამციროდ არასრულწლოვანთა ჩართულობა თამბაქოს მოხმარებისაგან.

ხელმიუწვდომელი გავხადოთ საზოგადოების ფართო მასებისათვის თამბაქოს მოხმარება და სხვა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, პროექტი ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს:

- კანონის პრონციპებიდან ამოდის თამბაქოს მოხმარებელთა ინტერსების დაცვა როგორც პრინციპი;

- ასევე კანონის პრინციპების სახით ემატება შემდეგი: „ჯანდაცვითი გადაწყვეტილებების მომზადების, მიღებისა და დანერგვის პროცესში თამბაქოს ინდუსტრიის ინტერსების დაუშვებლობა და თამბაქოს ინდუსტრიასთან საჯარო ორგანიზაციების/პირების ურთიერთობათა გამჭვირვალობა და პასუხისმგებლობა“; “თამბაქოს ნაწარმის ინგრედიენტების, გამოფრქვეული ნივთიერებების და შეფუთვის ნაწარმის „თამბაქოს მწარმოებელთა და რეალიზატორთა პასუხისმგებლობა – ანაზღაურონ ჯანმრთელობისა და გარემოსთვის თამბაქოს წარმოებით და მოხმარებით მიყენებული ზარალი“ და „თამბაქოს ნაწარმის შემცველობის კონტროლი“; “კანონით დაშვებული სხვა ღონისძიებების განხორციელება ამ კანონის მიზნების და თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის ამოცანების და პრინციპების შესრულებისათვის“

- ფართოდება ტერმინი „თამბაქოს ნაწარმი“ და მას ემატება ისეთი თამბაქოს ნაწარმის სახეობა როგორებიცაა მაგალითად „ჩილიმისთვის განკუთვნილი თამბაქო“, „საწუწნი თამბაქო“, „ელექტრონული სიგარეტებისა და სხვა მსგავსი მოწყობილობების ნიკოტინის შემცველი მასალები/კარტრიჯები/კაფსულები“ და ა.შ.;

- კანონს ემატება ტერმინი „თამბაქოს აქსესუარი და მოხმარებისათვის განკუთვნილი მოწყობილობა“, რიმელშიც გადის მუნდშტუკი, ჩიბუხი, ჩილიმი, შესასუნთქი ან საწუწნი თამბაქოს მოწყობილობები, ელექტრონული სიგარეტები და სხვა მსგავსი მოწყობილობები, სიგარეტის ასანთები სპეციალური სანთებელები, თამბაქოს გასახვევი ქაღალდი, თამბაქოს შესახვევი ან დასაჭრელი აპარატი, საფერფლე, ნებისმიერი სახის პორტსიგარა ან სხვა საგნები, რომლებიც განკუთვნილია უპირატესად თამბაქოს მოხმარებისათვის ან შენახვისათვის, აგრეთვე სიგარეტის, მისი კოლოფის და ზემოაღნიშნული საგნების ილუსტრაციები ან გამომსახველი სხვა საგნები. შედეგად, „თამბაქოს აქსესუარი და მოხმარებისათვის განკუთვნილი მოწყობილობაზე“ გავრცელდება თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციისთვის არსებული შეზღუდვები და აკრძალვები;

- კანონს ემატება ტერმინი “თამბაქოს ახალი ნაწარმი”, რომელიც განისაზღვრება როგორც ნაწარმი, რომელიც განთავსებული არაა საქართველოს ბაზარზე 2016 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით ან არ მიეკუთვნება ამ კანონით განსაზღვრულ თამბაქოს ნაწარმის სახეობებს.

- კანონს ემატება ტერმინი “თამბაქოს მოწევა”, რომელიც განისაზღვრება როგორც თამბაქოს ნაწარმის წვის ან გახურების შედეგად გამოყოფილი კვამლის შესუნთქვა.

- კანონს ემატება შემდეგი ტერმინები “თამბაქოს ნაწარმის ინგრედიენტები” - თამბაქოს ნაწარმის შემადგენლობაში მყოფი თამბაქო, დანამატი, აგრეთვე ნებისმიერი ნივთიერება ან ელემენტი ქაღალდის, ფილტრის, კაფსულის, მელნის და წებოს ჩათვლით; “დანამატი” - ნებისმიერი ნივთიერება ან მასალა, გარდა თამბაქოს ფოთლისა, რომელიც ემატება თამბაქოს ნაწარმს; “თამბაქოს ნაწარმისგან გამოფრქვეული ნივთიერებები” - ნივთიერებები, რომლებიც

გამოიყოფა თამბაქოს ნაწარმის დანიშნულებისამებრ მოხმარების შედეგად, როგორცაა სიგარეტის ან სხვა სახის მოსაწევი თამბაქოს კვამლში შემავალი ნივთიერებები გამოყოფილი მოსაწევი თამბაქოს მოხმარების შედეგად, აგრეთვე სადეჰი, საწუწნი, შესასუნთქი თამბაქოს მოხმარების შედეგად გამოყოფილი ნივთიერებები.

- სამედიცინო გაფრთხილება სავალდებულო წესით უნდა მოიცავდეს პიქტოგრამასაც, განსხვავებით დღეს მოქმედი რედაქციისგან - დღესდღეობით პიქტოგრამის დატანა ნებაყოფლობითია;
- ამოღებულია ტერმინი „ხარისხი“, რამდენადაც თამბაქოსთან მიმართებაში პროდუქტის ხარისხიანობაზე არ უნდა იქნეს აქცენტირება;

- ტერმინთა განმარტებას ემატება „შენობა-ნაგებობის“, აღნიშნული განმარტების დამატების საჭიროება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პროექტი ითვალისწინებს თამბაქოს აკრძალვებს გარკვეულ შენობა-ნაგებობებში. პროექტის მიხედვით, შენობა-ნაგებობა განმარტებულია როგორც ნებისმიერი კონსტრუქცია, გარდა სატრანსპორტო საშუალებებისა, რომელსაც გააჩნია ნებისმიერი სახის სახურავი ან ჭერი, ან იატაკის და სახურავის/ჭერის გარდა სხვა ზედაპირის მინიმუმ 1/2-ზე გააჩნია ნებისმიერი სახის კედლები (ღია ან დახურული ფანჯრის და კარების ჩათვლით).

- ტერმინთა განმარტებას ემატება “საზოგადოებრივი ტრანსპორტი” - ნებისმიერი ტრანსპორტი, რომელიც გამოიყენება საზოგადოების წევრთა გადასაყვანად, ჩვეულებრივ საფასურის ან კომერციული მოგების მიზნით, ტაქსების ჩათვლით.

- საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით განისაზღვრება ჯანდაცვითი გადაწყვეტილებების მომზადების, მიღებისა და დანერგვის პროცესში თამბაქოს ინდუსტრიის და მასთან პირდაპირი თუ არაპირდაპირი სახით დაკავშირებული არასამთავრობო და კერძო სექტორის ორგანიზაციების მონაწილეობის და მათი ინტერესების დაუშვებლობის რეგულირების საკითხი.

- თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელმა ან/და იმპორტიორმა თამბაქოს ნაწარმის გამოფრქვეული ნივთიერებების გაზომვა უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით, უნდა დაადასტურონ გაზომვის სტანდარტების შესაბამისად ჩატარება; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ყოველი წლის 31 მაისამდე წარუდგინონ სრული დოკუმენტაცია და უზრუნველყონ თამბაქოს ნაწარმის შესაბამისობა ამ დოკუმენტაციაში მითითებულ მონაცემებთან;

- კანონით განსაზღვრული თამბაქოს მოხმარების, წარმოების, იმპორტის და რეალიზაციის აკრძალვის/შეზღუდვის წესები გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა იმ დაწესებულებათა სალიცენზიო, სანებართვო და საავტორიზაციო პირობებში, რომლებიც ექვემდებარებიან ლიცენზირებას/ნებართვას ან ავტორიზაციას;

- პროექტის მიხედვით, თამბაქოს კონტროლი არ წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობის კონტროლს და შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება. შედეგად, თამბაქოს კონტროლის განმახორციელებელ დაწესებულებებს თამბაქოს მოხმარების კონტროლის მოტივით შესვლა შეეძლებათ ნებისმიერ დაწესებულებაში, ამასთან, მოსამართლის სპეციალური ნებართვის - ბრძანების გარეშე;

- პროექტის მიხედვით რეგულირებას თამბაქოს ნაწარმის, მისი აქსესუარების და მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობების რეალიზაციასთან ერთად ამ ნაწარმის განლაგებაც სავაჭრო ობიექტებში
- პროექტით არსებული 50 მეტრიდან 100 მეტრამდე იზრდება მანძილი სააღმზრდელო, საგანმანათლებლო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებიდან სადაც აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის, მისი აქსესუარების და მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობების რეალიზაცია და განლაგება
- პროექტით იკრძალება თამბაქოს ნაწარმის, მისი აქსესუარების და მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობების განლაგება ვიტრინებზე, ვიტრაჟებზე, დახლზე, თაროზე ან ნებისმიერი სხვა სახით იმგვარად, რომ იგი ხილვადია ობიექტის შიგნიდან ან გარედან
- იკრძალება თამბაქოს ნაწარმის ან მისი აქსესუარების რეალიზაცია იმგვარად, რომ ობიექტიდან მისი მიწოდება ხდება უშუალოდ ტრანსპორტში მსხდომთათვის
- ელექტრონული ან მექანიკური მანქანის საშუალებით თამბაქოს ნაწარმის გაყიდვის არსებულ აკრძალვას ემატება მისი განლაგება იმგვარად, რომ უშუალოდ მიუწვდებოდეს ხელი მომხმარებელს
- პროექტის მიხედვით იკრძალება თამბაქოს ახალი სახის ნაწარმის რეალიზაცია საქართველოში
- პროექტით კონკრეტდება თამბაქოს ნაწარმის, მისი აქსესუარების და მოხმარებისთვის

განკუთვნილი მოწყობილობების პოპულარიზაციის აკრძალვა, კერძოდ იკრძალება:

- თამბაქოს ნაწარმის, მისი აქსესუარების და მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობების გათამაშების, ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების საშუალებით დარიგება ან გათამაშება ან/და ამგვარ ღონისძიებებში თამბაქოს ნაწარმის, მისი რომელიმე ნაწილის საშუალებით, ან მისი განაწილებით მონაწილეობა.
- საჩუქრების გაცემა ან შეთავაზება თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის, გადაცემის ან გასინჯვის მიზნით.
- ინიციატივის განმტკიცება ან ერთგულების სქემები, როგორცაა კუპონების დარიგება თამბაქოს ნაწარმის გაყიდვისას.
- პირდაპირი პერსონალური კომუნიკაციები, ქსელური მარკეტინგი, რომელიც ახდენს ან შესაძლოა მოახდინოს თამბაქოს ნაწარმის, ან თამბაქოს მწარმოებლის ან საბითუმო მოვაჭრის პოპულარიზაცია.
- ინდივიდებზე გამიზნული საპოპულარიზაციო მასალები, მათ შორის საინფორმაციო მასალები, როგორცაა პირდაპირი გზავნილი, ტელემარკეტინგი, მომხმარებელთა კვლევა რომელიც ახდენს ან შეიძლება მოხდინოს თამბაქოს ნაწარმის, ან თამბაქოს მწარმოებლის ან საბითუმო მოვაჭრის პოპულარიზაცია.
- თანხის გადახდა, ჯილდო ან სხვაგვარი წვლილის შეტანა საცალო მოვაჭრის საქმიანობაში, რომელიც გამიზნულია მათი მოტივირებისთვის გაყიდონ მეტი თამბაქოს ნაწარმი რომელიც გამიზნულია მათი მოტივირებისთვის.
- თამბაქოს მწარმოებლის, იმპორტიორის ან საბითუმო მოვაჭრის, მათთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული პირების მიერ თანხის გადახდა ან სხვაგვარი წვლილის შეტანა ღონისძიებაში, ინდივიდუალური პირის ან ორგანიზაციის საქმიანობაში, რომელიც შედეგად ახდენს ან შესაძლოა მოახდინოს

თამბაქოს ნაწარმის, მწარმოებლის, იმპორტიორის ან საბითუმო მოვაჭრის ან მათი წარმომადგენლის პოპულარიზაცია.

o ისეთი სათამაშოების, ტკბილეულის ან სხვა არათამბაქოს ნაწარმის გაყიდვა ან დარიგება რომელიც წარმოადგენს თამბაქოს ნაწარმის ან მისი მოხმარების ილუსტრაციას, სიმულაციას ან იმიტირებას.

• პროექტის მიხედვით თუკი თამბაქოს ნაწარმის რეალიზატორი ვერ ადასტურებს, რომ თამბაქოს ნაწარმის მყიდველი პირი სრულწლოვანია, იგი ვალდებულია და უფლებამოსილია პირს მოსთხოვოს მისი სრულწლოვანების დამადასტურებელი დოკუმენტი და მხოლოდ სრულწლოვანებაში დარწმუნების შემდეგ მიჰყიდოს მას თამბაქოს ნაწარმი

• პროექტის მიხედვით შეცდომაში შემყვან ან არასწორი წარმოდგენის შემქნელ საშუალებებს ემატება “სიტყვა”, “სავაჭრო ნიშანი”, “აბრევიატურა”, “გამოსახულება”, “ექსტრა”, “მენტოლი”, “ნაკლებად მძაფრი”.

• პროექტით 30%-დან 65%-მდე იზრდება სამედიცინო გაფრთხილებების მიედ თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაზე დაკავებული ფართობი.

• პროექტის მიხედვით პიქტოგრამის შემცველი დამატებითი სამედიცინო გაფრთხილება უნდა განტავდეს შეფუთვის წინა ზედაპირზე

• პროექტით შემოდის თამბაქოს მოწვევის სრული აკრძალვა:

o ნებისმიერ შენობა-ნაგებობაში, გარდა კერძო საცხოვრებელი სახლებისა, თამბაქოს კვამლის შემსწავლელი სპეციალიზირებული ლაბორატორიული დანადგარებისა, აგრეთვე პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებისა;

o საზოგადოებრივ ტრანსპორტის ყველა სახეობაში

o სააღმზრდელო, საგანმანათლებლო და საგანმანათლებლო სააღმზრდელო, ნებისმიერი სხვა სასწავლო დაწესებულების, აგრეთვე ბიბლიოთეკების, მოსწავლე ახალგაზრდობის ბანაკების, ბავშვთა გასართობი ცენტრების და 18 წლამდე პირებისთვის განკუთვნილი სხვა დაწესებულებების როგორც შენობა-ნაგებობებში ისე მათ ტერიტორიაზე, აგრეთვე 18 წლამდე პირებისთვის განკუთვნილ საზოგადოებრივ შეკრებებზე

o სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებათა შენობა-ნაგებობებში და ტერიტორიაზე, გარდა სტაციონარული ფსიქიატრიული და პალიატიური მკურნალობისთვის განკუთვნილი დაწესებულებების ხელმძღვანელების მიერ განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოცემული სპეციალური ბრძანებით ზოგიერთი ქმედუუნარო ან მძიმე ავადმყოფი პაციენტისათვის განსაზღვრული ადგილისა (ადგილებისა), რომელიც უნდა იყოს სრულად (კედლებით) გამიჯნული უნდა იყოს დაწესებულების სხვა ნაწილებისაგან/ტერიტორიისაგან, ჰქონდეს ვენტილაცია ან ღია სივრცეში გამავალი ფანჯარა.

o სტადიონებზე

• პროექტით მკაფიოდ ისაზღვრება მოწვევის აკრძალვისა და შეზღუდვის აღსრულებაზე დაწესებულებათა ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა, კერძოდ ემატება შემდეგი: არ დაუშვას, ხოლო დარღვევის შემთხვევაში, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების

ფარგლებში, დაუყოვნებლივ აღკვეთოს დაწესებულებაში თამბაქოს მოხმარება იმ ადგილებში სადაც კანონით მოწვევა აკრძალულია.

- პროექტით ზუსტდება და ფართოვდება თამბაქოს მოხმარების დემონსტრირების რეგულაცია, კერძოდ იკრძალება თამბაქოს მოწვევის ან მოხმარების სხვა ფორმების დემონსტრირება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, სხვა ბეჭდური ან ელექტრონული საშუალებით, მასობრივი ჩვენებისა და თეატრალური წარმოდგენის მეშვეობით, თუ ეს არ არის ღია სივრცეში პირდაპირი ეთერის მიმდინარეობისას კადრში მწვევლის შემთხვევითი მოხვედრა. ეს აკრძალვა არ ეხება თამბაქოს მოწვევის ან მოხმარების გამოსახვას, თუკი ეს გამოსახვა ეფუძნება კანონიერ შემოქმედებით გამოხატვას და არ მომხდარა თამბაქოს მწარმოებლის, იმპორტიორის, მოვაჭრის ან მათი წარმომადგენლის, მათთან პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით დაკავშირებული იურიდიული თუ ფიზიკური პირის მიერ თამბაქოს მოწვევის ან მოხმარების გამოსახვის სანაცვლოდ თანხის გამიზნული გადახდა ან სხვა წვლილის შეტანა ან მისი დაპირება

- გარდამავალი დებულებების სახით ისაზღვრება, რომ 2017 წლის 1 ივლისამდე შენობა-ნაგებობებიდან სასტუმროებს ეძლევათ ვადა, როცა მათ შეუძლიათ სრულ აკრძალვამდე დაუშვან მოწვევა ნომრების არაუმეტეს 50%-ში, საჯარო დაწესებულებებს, საზოგადოებრივი კვების ობიექტებს, სილამაზის სალონებს, მაღაზიებს და სავაჭრო ობიექტებს სრულად აკრძალვამდე შენობის 20%-ში კედლებით გამოყონ მოსაწვევი ადგილები, 2018 წლის 1 იანვრამდე ოფისებს, ქარხანა-ფაბრიკებს, საამქროებს, საწყობებს, ტერმინალებს და სხვა მსგავსი დაწესებულებებს, სტადიონებს დაუშვან მოწვევა მკაფიოდ განსაზღვრულ ადგილებში, აგრეთვე არასამარშრუტო ტაქსების მფლობელებს სურვილის შემთხვევაში დაუშვან მოწვევა.

ბ.ა) კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

პროექტის მიღება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

იმისათვის, რომ მოგვეხდინა დაახლოებითი პროგნოზირება კანონის პროექტის მიღების შედეგად გამოწვეული ფინანსური შედეგებისა, გამოყენებულ იქნა ჩვენი მეზობელი იმ ქვეყნების (როგორც ყველაზე რელევანტური და ჩვენთან ახლოს მდგომი შემთხვევებისა) მაგალითი, სადაც მიღებულ იქნა ანალოგიური კანონმდებლობა. ქვემოთ წარმოდგენილია მონაცემები ამ ქვეყნებში ანალოგიური კანონმდებლობის მიღებიდან 4-5 წლიან პერიოდში თამბაქოს აქტიური მოხმარების მაჩვენებლების დინამიკის შესახებ.

თურქეთი

თურქეთში ძირითადი კანონი, რომელიც მოიცავს წარმოდგენილი კანონის პროექტის ანალოგიურ ღონისძიებებს, მიღებულ იქნა 2008 წელს *(ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, ევროპის რეგონული ბიურო. თამბაქოს კონტროლი თურქეთში, თანხმობის და ლიდერობის ისტორია. 2012 წელი, გვ 31-34, ცხრილი 13. http://www.euro.who.int/_data/assets/pdf_file/0009/163854/e96532.pdf)*

აქტიური მოხმარების შემცირება 2008-დან 2012 წლამდე პერიოდში მოხდა 31,2%-დან *(თურქეთის ჯანმრთელობის სამინისტრო. ზრდასრულებში თამბაქოს გლობალური ზედამხედველობა, თურქეთი 2008 წელი. გვ 35, ცხრილი*

3.1 http://www.who.int/tobacco/surveillance/en_tfi_gats_turkey_2009.pdf) 27,1%-მდე (თურქეთის ჯანმრთელობის სამინისტრო. აშშ დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ეროვნული ცენტრი. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია. ზრდასრულებში თამბაქოს გლობალური ზედამხედველობა, თურქეთი 2012 წელი. გვ 36 http://www.who.int/tobacco/surveillance/survey/gats/report_tur_2012.pdf), სულ 4.1%-ით, რაც საშუალოდ წლიურად 1%-ია. უნდა გავითვალისწინოთ ისიც რომ თურქეთში მიღებული ეს საკანონმდებო პაკეტი, განსხვავებით წარმოდგენილი პაკეტისაგან მოიცავდა, აგრეთვე თამბაქოზე გადასახადების ზრდის ნაწილსაც, რაც წარმოადგენს დამატებით ძალზე მძლავრ მექანიზმს თამბაქოს მოხმარების შემცირებისათვის.

უკრაინა

უკრაინაში, თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს წარმოდგენილი კანონის პროექტის ანალოგიურ ღონისძიებებს, ეტაპობრივად მიღებულ იქნა 2008-2010 წლებში. (თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობა უკრაინაში. ორგანიზაცია თამბაქოსაგან თავისუფალი ბავშვები. <http://www.tobaccocontrollaws.org/legislation/country/ukraine/laws>)

ოფიციალური მონაცემებით 2008-2012 წლებში, თამბაქოს აქტიური მოხმარება 25.6%-დან 21.8%-მდე შემცირდა (კრასოვსკი, კ., კრასოვსკი, ტ. თამბაქოს კონტროლი უკრაინაში, მეორე ეროვნული ანგარიში, 2014 წელი. https://www.researchgate.net/publication/275657239_Tobacco_Control_in_Ukraine_Second_National_Report_Executive_summary), რაც ჯამურად 4 წლის პერიოდში 3.8%-იან კლებას და 1%-ზე ნაკლებ საშუალო წლიურ მაჩვენებელს შეადგენს.

რუსეთი

რუსეთში თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს წარმოდგენილი კანონის პროექტის ანალოგიურ ღონისძიებებს, მიღებულ იქნა 2013 წელს (თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობა რუსეთში. ორგანიზაცია თამბაქოსაგან თავისუფალი ბავშვები. <http://www.tobaccocontrollaws.org/legislation/country/russia/laws>).

2009 წელს თამბაქოს მოხმარება რუსეთში 39.1% იყო (რუსეთის ჯანმრთელობის და სოციალური განვითარების სამინისტრო. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია. ზრდასრულებში თამბაქოს გლობალური ზედამხედველობა, თურქეთი 2009 წელი. http://www.who.int/tobacco/surveillance/en_tfi_gats_russian_countryreport.pdf) და ივარაუდება, რომ 2013 წლისთვისაც მოხმარების დონე იგივე იყო. რუსეთის ჯანმრთელობის და სოციალური განვითარების სამინისტროს განცხადებით 2015 წლისთვის ეს ციფრი 17%-ით შემცირდა, რაც 2 წლის განმავლობაში დაახლოებით 6.6%-იან კლებას და წლიურ საშუალო 3.3%-ს შეადგენს (თამბაქოს კონტროლი რუსეთში. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია. <http://www.who.int/tobacco/about/partners/bloomberg/rus/en/>). თუმცა უცნობია რა კვლევას ეყრდნობოდა ეს განცხადება და აგრეთვე ზრდასრულთა თამბაქოს გლობალური კვლევა რუსეთში 2016 წელს განმეორებით ჩატარდება, რაც მეტად სარწმუნო და შედარებად მონაცემს გახდის ცნობილს.

საქართველოს მეზობელი ქვეყნების ამ გამოცდლებზე დაყრდნობით ნათელი ხდება, რომ თამბაქოს კონტროლის კომპლექსური კანონმდებლობის მიღებით 4-5 წლიან ვადაში თამბაქოს მოხმარება დაახლოებით საშუალო წლიური 1%-ით ხდება (მონაცემები, რომლებიც ეყრდნობა სარწმუნო კვლევებს). აღნიშნული პარამეტრი სამიზნეაა აღებული 2013 წლის საქართველოს მთავრობის #394 და #196 დადგენილებებში და განსაზღვრული იყო ევროპაში თამბაქოს კონტროლის სტრატეგიითაც. ამასთან, საქართველოს რეალობაზე ექსტრაპოლირებისთვის კანონის პროექტის ძირითადი დებულებების ამოქმედების ვადიდან

პირველ წელს ნავარაუდები იქნა აქტიური მოხმარების 2%-იანი, ხოლო მომდევნო 4 წელს საშუალოდ 1%-იანი კლება.

შესაბამისად, ძალაში შესვლიდან პირველ წელს, იმ შემთხვევაში თუ ადგილი არ ექნება სხვა ცვლილებებს, როგორცაა თამბაქოს ნაწარმის აქციზის განაკვეთის ზრდა, სავარაუდოდ მოხდება თამბაქოს აქციზური და მოგების გადასახადების და დღგ-ს 2%-ით (დაახლოებით 10 მლნ ლარი), ხოლო მომდევნო წლებში 1%-ით (5 მლნ ლარი) შემცირება.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე კანონის პროექტის გავლენის ზემოაღნიშნულ მოცულობაში გათვალისწინებული არა არის ის, რომ მოსახლეობის მიერ თამბაქოს შეძენაზე დაზოგილი თანხები (პირველ წელს დაახლოებით 24 მლნ ლარი, ხოლო მომდევნო წლებში საშუალოდ 12 მლნ ლარი) გადაინაცვლებს სხვა ბიზნეს სექტორებში, მოხდება მათი შესაბამისი დაბეგვრა და ამ სექტორებიდან საბიუჯეტო შენატანების გაზრდა. ამასთან, იმის გამო, რომ ამ ეტაპზე საქართველოში ამ ცვლილების კალკულაციის მეთოდოლოგია დანერგილი არ არის, ამ საბიუჯეტო შემოსავლის მოცულობის კალკულაცია არ მომხდარა.

ბ.გ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

იმისათვის, რომ მომხდარიყო კანონის პროექტის ძალაში შესვლის შემდგომ პასიური მწვევლობის შემცირების მაშტაბების პროგნოზირება ავიღეთ იმ ქვეყნების მონაცემები სადაც დაინერგა მსგავსი კანონმდებლობა და არსებობს მონაცემები პასიური მწვევლობის დინამიკის შესახებ პოპულაციურ დონეზე.

შოტლანდიაში, ირლანდიაში, ინგლისში, ფინეთში და იტალიაში, აშშ-ს მასაჩუსეტისის, დელავერის, ჰავაის შტატებში და ნიუიორკში ჩატარებული კვლევებით თამბაქოს მოწვევის აკრძალვამ საზოგადოებრივ ადგილებში 71-99%-ით შემცირა პასიური მწვევლობა (*Hahn EJ. Smokefree legislation: a review of health and economic outcomes research. Am J Prev Med 2010;39(6 Suppl 1):S66-76*). ამ მაჩვენებლით შემცირება ამ ქვეყნებსა და ერთეულებში კანონის ამოქმედებიდან 1-2 წელიწადში ფიქსირდებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი კანონის პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა ადგილებში ეტაპობრივ ამოქმედებას მოწვევის აკრძალვებისა, საქართველოს შემთხვევაში რელევანტურია 5 წლიანი პერიოდის აღება ზემოაღნიშნული მაჩვენებლის მიღწევისათვის. ამასთან ავიღეთ მინიმალურთან მიახლოებული 75%-იანი მაჩვენებელი, რაც წლიურად საშუალოდ 15%-იან კლებას შეესაბამება. რაც შეეხება აქტიურ მოხმარებას, გამოყენებულ იქნა ზემოაღნიშნული კლების მაჩვენებლები: პირველ წელს 2%, ხოლო მომდევნო წლებში საშუალოდ 1%-იანი კლება. შესაბამისად საშუალოვადიან პერიოდში მოხდება თამბაქოს აქტიური და პასიური მოხმარების შედეგად გამოწვეული მწვავე მდგომარეობების სიხშირის სავარაუდოდ პროპორციული შემცირება. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში თამბაქოსთან დაკავშირებული დაავადებების მკურნალობაზე გაწეული 200 მლნ ლარიდან (*Welfare Foundation, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ხარჯთაღიწვევების შეფასება, 2016*) პირველ წელს აქტიურ მწვევლობასთან დაკავშირებულ ნაწილში 2.7 მლნ ლარის, ხოლო პასიური მწვევლობის ნაწილში 9.7 მლნ ლარი, ჯამში 12.4 მლნ ლარი, ხოლო მომდევნო წლებში 11 მლნ ლარი დაიზოგება.

სავარაუდოდ საშუალოვადიან პერიოდში მოხდება უნარშეზღუდულობასთან დაკავშირებული სოციალური ხარჯების დაზოგვა, თუმცა იმის გამო, რომ კალკულირებული არ არის თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული უნარშეზღუდულობის ხარჯები, ვერ მოხდება მასში კლების მოცულობის დადგენა.

ასევე მოხდება თამბაქოთი გამოწვეულ ხანძრებზე შესაბამისი სამსახურების რეაგირების და დასუფთავებისთვის საჭირო საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა, თუმცა იმის გამო, რომ კალკულირებული არა არის მასში თამბაქოთი გამოწვეული წილი, შეუძლებელია კლების მოცულობის დადგენაც.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას.

ბ.ე) კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

თამბაქოს მოხმარების აკრძალვა საზოგადოებრივი კვების ობიექტებში გამოიწვევს ამ დაწესებულებებში მომხმარებელთა რაოდენობის მატებას, სავარაუდოდ მინიმუმ 8%-ით (სოციალური კვლევების და ანალიზის ინსტიტუტი, თამბაქოს კონტროლის საკითხებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების კვლევა, 2016), ამ დაწესებულებათა დასუფთავებისა და სარემონტო ხარჯების შემცირებას. შესაბამისად სავარაუდოდ მოხდება მათი შემოსავლების და მოგების პროპორციული ზრდა. სხვა საჯარო თუ კერძო დაწესებულებებში მოწვევის აკრძალვა გამოიწვევს დადებით ფინანსურ ეფექტს, კერძოდ დასუფთავების და სარემონტო ხარჯების დაზოგვას, თუმცა მისი ოდენობის კალკულაცია საქართველოში არ მომხდარა და შეუძლებელია კლების მოცულობის ზუსტი განსაზღვრა.

იმის გამო, რომ პროექტის საკვანძო დებულებების ძალაში შესვლის შემდგომ ნავარაუდევია თამბაქოს აქტიური მოხმარების კლება პირველ წელს 2%-ით, ხოლო მომდევნო წლებში საშუალოდ 1%-ით, პროპორციულად შემცირდება თამბაქოს ინდუსტრიის შემოსავლები და მოგება, კერძოდ სავარაუდოდ წლიური 500 მლნ კოლოფის ნაცვლად ძალაში შესვლიდან პირველ წელს გაიყიდება 10 მლნ კოლოფით, ხოლო მომდევნო წლებში დამატებით 5-5 მლნ-ით კლებადაც ოდენობით თამბაქოს ნაწარმის გაყიდვა, რაც პროპორციულად პირველ წელს 24 მლნ ით (თამბაქოს ნაწარმის საშუალო ფასი 2.4 ლარი), ხოლო მომდევნო წლებში 12 მლნ-ით შემცირებს თამბაქოს ინდუსტრიის ჯამურ შემოსავლებს.

მოსახლეობის მიერ თამბაქოს ნაწარმის შეძენაზე დაზოგილი ამ მოცულობის თანხების გადანაცვლება მოხდება ეკონომიკის სხვა სექტორებში, თუმცა იმის გამო, რომ ამგვარი ცვლილებების სხვა სექტორებზე გავლენა საქართველოში შესწავლილი არაა, ვერ ხდება სექტორების მიხედვით შემოსავლების ზრდის მოცულობების დადგენა.

საქართველოს მოქალაქეების ის ნაწილი, ვინც პროექტის ამოქმედების შემდგომ თავს დაანებებს აქტიურ მოწვევას, დაზოგავს საშუალოდ ყოველწლიურად 900 ლარს უშუალოდ თამბაქოს ნაწარმის არშეძენის გამო, აგრეთვე შეუმცირდება ავადობის მაჩვენებელი და დაავადებებზე გაწეული საკუთარი ხარჯები, გაიზრდება შრომისუნარიანობა და სიცოცხლის

ხანგრძლიობა, შემცირდება გაცდენილი სამუშაო დრო. საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც გათავისუფლდება მეორადი კვამლის ზემოქმედებისაგან (ჯამურად მოსახლეობის 30%), შეუმცირდება ავადობის მაჩვენებელი და დაავადებებზე გაწეული საკუთარი ხარჯები, გაიზრდება შრომისუნარიანობა და სიცოცხლის ხანგრძლიობა, შემცირდება გაცდენილი სამუშაო დრო.

ბ.ვ) კანონის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

პროექტით არ დგინდება რაიმე სახის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან
პროექტი შეესაბამება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ა) კანონის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან
პროექტი შეესაბამება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

პროექტი შეესაბამება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებებს.

გ.გ) კანონის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხივ ხელშეკრულებებთან

პროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არის

დ.ბ) კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ასეთი არ არის

ე) კანონის პროექტის ავტორი

თამბაქოს კონტროლის ალიანსში შემავალი ორგანიზაციები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინსტიტუტი და თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი.

ვ) კანონის პროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი გუგული მალრაძე.

თამბაქოს კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის მუხლის (მუხლების) მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც (რომლებშიც) წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება:

მუხლი 2. თამბაქოს კონტროლის ძირითადი პრინციპები

საქართველოში თამბაქოს კონტროლის სფეროში მოქმედი კრიტერიუმები, მოთხოვნები, პირობები და წესები უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს:

- ა) თამბაქოს ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქტად აღიარებას;
- ბ) არამწვევლთა თამბაქოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის უფლების აღიარებას;
- გ) თამბაქოს მავნე ზემოქმედების შესახებ საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებას და თამბაქოს ნაწარმის თაობაზე ინფორმაციის გამჭვირვალობას;
- დ) თამბაქოს მოხმარების შეწყვეტისა და მოხმარების დაწყების პრევენციის ხელშეწყობას;
- ე) თამბაქოს მოხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას;
- ვ) თამბაქოს ნაწარმის წარმოებისა და რეალიზაციის კონტროლს;
- ზ) თამბაქოს ნაწარმზე მოთხოვნილებისა და ამ ნაწარმის ხელმისაწვდომობის შემცირებას;
- თ) თამბაქოს ნაწარმის დაუბეგრავი და გაუპიროვნებელი გაყიდვის აკრძალვას;
- ი) არამწვევლობის, როგორც ცხოვრების ნორმის, აღიარებას;
- კ) თამბაქოს მოხმარების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავებაში, განხორციელებასა და შეფასებაში საზოგადოების მონაწილეობას;
- ლ) თამბაქოს რეკლამისაგან თავისუფალ გარემოში ცხოვრებისა და მისი ზემოქმედებისაგან დაცვის უფლების აღიარებას;
- მ) საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას.

მუხლი 3. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) თამბაქოს ნაწარმი – თამბაქოს ან მისი ელემენტების შემცველი ნებისმიერი ნაწარმი, გარდა ნიკოტინის შემცველი სამკურნალო საშუალებებისა, რომლებიც განკუთვნილია მოსაწევად, დასაღეჭად ან შესასუნთქად, მათ შორის:
 - ა.ა) ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტები;
 - ა.ბ) პაპიროსები, სიგარები და სიგარილები;
 - ა.გ) საჩიბუხე თამბაქო;
 - ა.დ) შესახვევი თუთუნი;
 - ა.ე) დასაღეჭი და შესასუნთქი თამბაქო;
- ბ) სიგარეტი – თამბაქოს ან მისი ელემენტების შემცველი ნებისმიერი სახის გრაგნილი ან მილისებრი აგებულების კონსტრუქცია, რომელიც გახვეულია ქაღალდში ან კანონით დაშვებულ სხვა მასალაში, რომელიც არ შეიცავს თამბაქოს;

- გ) არმოსაწევი თამბაქო – თამბაქოს ნაწარმი, რომელიც არ არის განკუთვნილი მოსაწევად, კერძოდ, დასალექი, საწუწნი ან შესასუნთქი თამბაქო;
- დ) თამბაქოს მოწევა – თამბაქოს ნაწარმის წვის შედეგად გამოყოფილი კვამლის შესუნთქვა;
- ე) თამბაქოს ინდუსტრია – თამბაქოს ნაწარმის წარმოება, იმპორტი, რეალიზაცია, ექსპორტი, რეექსპორტი ან/და ტრანზიტი;
- ვ) სამედიცინო გაფრთხილება – თამბაქოს მოწევის მავნებლობის შესახებ გამაფრთხილებელი წარწერა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს პიქტოგრამას;
- ზ) როტაცია – სამედიცინო გაფრთხილებების მონაცვლეობა;
- თ) ინგრედიენტი – ყველა ნივთიერება, რომელიც ემატება თამბაქოს, მათ შორის, ნივთიერებები, რომლებიც ემატება თამბაქოს ფოთოლსა და თამბაქოს სხვა ნატურალურ თუ გადამუშავებულ ნაწარმს, აგრეთვე არათამბაქოს მასალა, რომელიც ემატება თამბაქოს ნაწარმის წარმოებისას და წარმოდგენილია ამ ნაწარმის საბოლოო ფორმაშიც, შეცვლილი სახითაც კი;
- ი) მინისტრი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;
- კ) თამბაქოს ნაწარმის შემცველები – თამბაქოს ნაწარმის კვამლში შემავალი ნიკოტინი, კუპრი და მხუთავი აირი;
- ლ) ხარისხი – უვნებელი თამბაქოს იმ მახასიათებლების ერთობლიობა, რომლებიც დაკავშირებულია საბოლოო მომხმარებლის ეკონომიკურ ინტერესთან;
- მ) დამხმარე მასალა და საგნები – თამბაქოს ნაწარმთან შეხებაში მყოფი გარსი, კოლოფი და სხვა შესაფუთი მასალა;
- ნ) რეალიზაცია – გაყიდვის ან სხვა სახით გასაღების მიზნით თამბაქოს მზა პროდუქტის სხვა პირისათვის გადაცემა კომერციული სარგებლის მისაღებად;
- ო) მანიპულირება – აწონვა, გაზომვა, დადამღვა, დაბეჭდვა, შეფუთვა, დაწყობა, გადაადგილება;
- პ) ფალსიფიკაცია – თამბაქოს ნაწარმის შემადგენლობის, მახასიათებლების, ასორტიმენტისა და წარმოშობის შეუსაბამობა დადგენილ მოთხოვნებთან ან თანდართულ დოკუმენტებსა და ეტიკეტზე აღნიშნულ მონაცემებთან;
- ჟ) საშიში ნივთიერება – ნივთიერებები, მათი ნაერთები ან ნაერთების ნარევი, რომლებსაც განსაზღვრული რაოდენობით თავისი ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური თვისებებით შეუძლიათ ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე მავნე ზემოქმედება;
- რ) საწარმოო ობიექტი – საწარმო, საამქრო ან მათი უბნები და სხვა საწარმოო ქვედანაყოფები და ტერიტორიები, აგრეთვე მოწყობილობები, რომლებიც თამბაქოს წარმოების პროცესში გამოიყენება;
- ს) კონტროლი – თამბაქოს და მისი ნედლეულის, აგრეთვე თამბაქოს მწარმოებლისა და რეალიზატორის ერთი ან რამდენიმე მახასიათებლის შემოწმება, ტესტირება ან შეფასება და მიღებული შედეგების დადგენილ მოთხოვნებთან შედარება;
- ტ) მზა პროდუქტი – რესურსებისა და საქმიანობის ერთობლიობის (სამრეწველო გადამუშავების) შედეგად მიღებული პროდუქტი;
- უ) თამბაქოს მწარმოებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს თამბაქოს და პასუხს აგებს ამ კანონის მოთხოვნათა შესრულებისათვის მის მიერ განხორციელებული საქმიანობის ყოველ ეტაპზე; ამასთანავე, საქართველოს ტერიტორიაზე

მოქმედი წარმომადგენელი ან პროდუქტის იმპორტიორი, როდესაც უცხოელ დამამზადებელს არ ჰყავს წარმომადგენელი.

მუხლი 4. ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გამოყენებული ღონისძიებები

1. თამბაქოს მანიპულირებისა და ვაჭრობის მეთოდების გამოყენების დაშვების წესები დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.
2. მინისტრის ნორმატიული აქტით განისაზღვრება:
 - ა) საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის შემცველების ზღვრულად დასაშვები ნორმები, გაზომვისა და რეგულირების წესები, თამბაქოს კონტროლის სფეროში მოქმედი საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით;
 - ბ) თამბაქოს ნაწარმზე გამაფრთხილებელი წარწერის დატანის წესი.
3. მინისტრის ნორმატიული აქტით იზღუდება ან იკრძალება თამბაქოს ნაწარმის დამზადებისას ან მანიპულირებისას გარკვეული მეთოდების გამოყენების დაშვება.
4. თამბაქოს ნაწარმის შემცველების გაზომვა უნდა ჩატარდეს თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელმა ან/და იმპორტიორმა საკუთარი ხარჯებით. თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელმა ან/და იმპორტიორმა უნდა დაადასტუროს გაზომვის სტანდარტების შესაბამისად ჩატარება და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უნდა წარუდგინოს ინფორმაცია შესაბამისი საქმიანობის უფლების მქონე იმ ლაბორატორიის შესახებ, სადაც გაზომვა ჩატარდა.

მუხლი 5. თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია

1. აკრძალულია 18 წლამდე პირთა ჩაბმა თამბაქოს ინდუსტრიაში.
2. აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის რეალიზაცია:
 - ა) სააღმზრდელო, საგანმანათლებლო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე 50 მეტრის რადიუსში;
 - ბ) ყველა სახის სამედიცინო, სასწავლო, სახელმწიფო, სპორტულ და კულტურულ დაწესებულებებში;
 - გ) სავაჭრო ობიექტების იმ სექციებში, სადაც ბავშვთა ტანსაცმელი და სათამაშოები იყიდება;
 - დ) ერთეული ღერებით, ერთეული შეფუთვით (კოლოფით), თუ მასში 20 ღერ სიგარეტზე ნაკლებია ან მეტია;
 - ე) შეფუთვის გარეშე;
 - ვ) 18 წლამდე პირებზე;
 - ზ) ელექტრონული ან მექანიკური მანქანის საშუალებით;
 - თ) თუ საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმი დამზადებულია საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით;
 - ი) უფასოდ ან თვითღირებულებაზე დაბალ ფასად, მათ შორის, სამხედრო მოსამსახურეების სადღეღამისო ულუფაში შეტანით.
3. აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის გათამაშების, ლატარიის, ლოტოს, სხვა მომგებიანი ან სხვა სახის აზარტული თამაშობის საშუალებით დარიგება ან/და ამგვარ ღონისძიებებში თამბაქოს ნაწარმის საშუალებით, მისი განაწილებით მონაწილეობა.

4. თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის ადგილებში უნდა განთავსდეს მინისტრის მიერ დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილება და თამბაქოზე უარის თქმის მსურველთათვის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი კონსულტაციის მისაღებად, აგრეთვე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არასრულწლოვნებზე თამბაქოს ნაწარმის გაყიდვა აკრძალულია. ასეთი სამედიცინო გაფრთხილება უნდა განთავსდეს არანაკლებ A4 ფორმატის ქაღალდზე.

5. თამბაქოს ნაწარმის რეალიზატორს უფლება აქვს, თამბაქოს ნაწარმის მყიდველი პირის არასრულწლოვანებაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში მოითხოვოს მისი სრულწლოვანების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 6. თამბაქოს ნაწარმის შეფუთვა და დიზაინი

1. საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის დასახელება, მისი შეფუთვის ან/და ეტიკეტის რომელიმე ელემენტი არ უნდა შეიცავდეს რაიმე ყალბ, შეცდომაში შემყვან ან არასწორი წარმოდგენის შემქმნელ ინფორმაციას თამბაქოს ნაწარმის თვისებების, მავნე ზემოქმედების ან გამოფრქვეული მავნე ნივთიერებების შესახებ, ასევე არ შეიძლება გამოყენებული იქნეს საქართველოს სახელმწიფო ან/და რომელიმე უცხოურ ენაზე რაიმე ისეთი სიტყვა, სავაჭრო ნიშანი ან გამოსახულება, რომელიც პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით შექმნის არასწორ წარმოდგენას თამბაქოს ნაწარმის ნაკლებ მავნებლობაზე სხვა ნაწარმთან შედარებით. ზოგიერთი ასეთი სიტყვაა: „მსუბუქი“, „რბილი“, „ულტრამსუბუქი“, „დაბალი შემცველობით“.

2. თამბაქოს ნაწარმის თითოეულ კოლოფსა და ბლოკზე განთავსებული უნდა იყოს მინისტრის მიერ დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილება, რომელიც უნდა მოიცავდეს ძირითად გაფრთხილებას, დამატებით გაფრთხილებას და საკონტაქტო ტელეფონის ნომერს. სამედიცინო გაფრთხილება შეიძლება მოიცავდეს დამატებითი გაფრთხილების შესაბამის პიქტოგრამას.

3. მინისტრი ამტკიცებს ძირითადი სამედიცინო გაფრთხილების 3 ნიმუშს, დამატებითი სამედიცინო გაფრთხილების 9 ნიმუშს და შესაბამისი პიქტოგრამის 9 ნიმუშს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს, აგრეთვე სამედიცინო გაფრთხილებებისა და თამბაქოს ნაწარმის შემცველების შესახებ წარწერის კომპიუტერულ შრიფტსა და ზომას, გამოსახულების ხარისხის შესაბამის პარამეტრებს.

4. პიქტოგრამის ნიმუში უნდა შეესაბამებოდეს დამატებითი სამედიცინო გაფრთხილების ტექსტს და არ უნდა იკავებდეს სამედიცინო გაფრთხილების საერთო მოცულობის 50 პროცენტზე ნაკლებს.

5. სამედიცინო გაფრთხილებები ექვემდებარება როტაციას შემდეგი სახით:

ა) თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელმა ან/და იმპორტიორმა წლის განმავლობაში ყველა ძირითადი სამედიცინო გაფრთხილება უნდა გამოიყენოს იმგვარად, რომ ისინი თანაბრად განაწილდეს გასაყიდი თამბაქოს ნაწარმის ყოველი სახეობის კოლოფებსა და ბლოკებზე;

ბ) თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელმა ან/და იმპორტიორმა წლის განმავლობაში უნდა აირჩიოს 3 დამატებითი სამედიცინო გაფრთხილება და სურვილის შემთხვევაში – შესაბამისი პიქტოგრამები იმგვარად, რომ ისინი თანაბრად განაწილდეს გასაყიდი თამბაქოს ნაწარმის ყოველი სახეობის კოლოფებსა და ბლოკებზე.

6. თამბაქოს ნაწარმის ყოველ შეფუთვაზე სამედიცინო გაფრთხილება განთავსებული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო ენაზე (ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზურად), ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, და უნდა იყოს:

ა) დაწერილი გარკვევით და მკაფიოდ;

ბ) დაბეჭდილი შეფუთვაზე, გარდა გარე გამჭვირვალე შეფუთვისა, არ უნდა იყოს დაფარული და თამბაქოს ნაწარმის შეფუთვის გახსნისას არ უნდა დაზიანდეს ან არ უნდა მოსცილდეს მას;

გ) დაბეჭდილი კომპიუტერული შრიფტით, გამუქებულად, თეთრ ფონზე შავი ასოებით ან შავ ფონზე თეთრი ასოებით; თეთრი ფონი შემოფარგლული უნდა იყოს შავი ჩარჩოთი, ხოლო შავი ფონი – თეთრი ჩარჩოთი, რომელიც არ კვეთს და არ ეხება ასოებს; ჩარჩოს ხაზის სისქე არ უნდა იყოს 3 მმ-ზე ნაკლები და 4 მმ-ზე მეტი;

დ) განთავსებული შეფუთვის წინა და უკანა დიდ გვერდებზე, ზედა და ქვედა კიდეების პარალელურად, და არ უნდა იკავებდეს იმ გვერდის საერთო ფართობის 30 პროცენტზე ნაკლებს, რომელშიც შედის შემომფარგვლელი ხაზებიც.

7. თამბაქოს ნაწარმის შემცველების შესახებ წარწერა უნდა განთავსდეს თამბაქოს ნაწარმის ყოველ შეფუთვაზე და უნდა იყოს:

ა) დაწერილი გარკვევით და მკაფიოდ;

ბ) დაბეჭდილი შეფუთვაზე, გარდა გარე გამჭვირვალე შეფუთვისა, არ უნდა იყოს დაფარული და თამბაქოს ნაწარმის შეფუთვის გახსნისას არ უნდა დაზიანდეს ან არ უნდა მოსცილდეს მას;

გ) დაბეჭდილი კომპიუტერული შრიფტით, გამუქებულად, თეთრ ფონზე შავი ასოებით ან შავ ფონზე თეთრი ასოებით; თეთრი ფონი შემოფარგლული უნდა იყოს შავი ჩარჩოთი, ხოლო შავი ფონი – თეთრი ჩარჩოთი, რომელიც არ კვეთს და არ ეხება ასოებს; ჩარჩოს ხაზის სისქე არ უნდა იყოს 1 მმ-ზე ნაკლები და 2 მმ-ზე მეტი;

დ) განთავსებული შეფუთვის მცირე გვერდზე, გარდა ზედა და ქვედა გვერდებისა, და არ უნდა იკავებდეს იმ გვერდის საერთო ფართობის 30 პროცენტზე ნაკლებს, რომელშიც შედის შემომფარგვლელი ხაზებიც.

8. სამედიცინო გაფრთხილება ან/და თამბაქოს ნაწარმის შემცველების შესახებ ინფორმაცია არ შეიძლება დაიფაროს სხვა დაბეჭდილი ინფორმაციით ან რაიმე გამოსახულებით.

მუხლი 7. მომხმარებლის ფალსიფიცირებული პროდუქტისაგან დაცვა

1. მომხმარებლის ფალსიფიცირებული პროდუქტისაგან დაცვის მიზნით საქართველოს მთავრობა ადგენს შეფუთვაზე (თამბაქოს მწარმოებლის შესახებ) აღნიშვნათა ჩამონათვალს.

2. აკრძალულია ფალსიფიცირებული თამბაქოს წარმოება, შენახვა, ტრანსპორტირება და რეალიზაცია.

3. თამბაქოს მწარმოებელი ვალდებულია მიიღოს ზომები თამბაქოს ხარისხის შიდა საწარმოო კონტროლის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 8. დამხმარე საგნების გამოყენება

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აკრძალულია დამხმარე საგნების გამოყენება, მანიპულირება, ტრანსპორტირება ან რეალიზაცია, თუ არსებობს ამ საგნებიდან საშიში ნივთიერებების თამბაქოში ან მათ ზედაპირზე გადასვლის საშიშროება.

მუხლი 9. თამბაქოს ექსპორტი და იმპორტი

1. თამბაქოს ექსპორტი და იმპორტი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. ამ კანონის მოთხოვნები არ ვრცელდება სამეცნიერო დანიშნულებისათვის და გამოფენებისათვის, აგრეთვე მფლობელის პირადი მოხმარებისათვის განკუთვნილი თამბაქოს ხარისხზე.

მუხლი 10. თამბაქოს მოხმარების შეზღუდვა

1. თამბაქოს მოწევა აკრძალულია:
 - ა) სააღმზრდელო, საგანმანათლებლო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში, დახურულ სპორტულ ნაგებობებში;
 - ბ) სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებათა შენობებში;
 - გ) ბენზინგასამართი, გაზგასამართი და გაზგამანაწილებელი სადგურების მთელ ტერიტორიაზე;
 - დ) იმ შენობასა და დაწესებულებაში, სადაც ინახება ცეცხლსაშიში ნივთიერებები;
 - ე) საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მათ შორის, ავტობუსში, სამარშრუტო ტაქსიში, საჰაერო ხომალდში, მეტროპოლიტენში, ტრამვაისა და ტროლეიბუსში.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული დაწესებულებების გარდა, სხვა საჯარო და კერძო დაწესებულებების დახურულ შენობა-ნაგებობებში, მათ შორის, სამუშაო და მასობრივი თავშეყრის დახურულ ადგილებში, აგრეთვე მატარებელსა და საზღვაო ხომალდში აკრძალულია თამბაქოს მოწევა, გარდა სპეციალური მოსაწევი ადგილისა (ადგილებისა).
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დაწესებულებების ხელმძღვანელები ვალდებული არიან უზრუნველყონ დაწესებულებების ტერიტორიებზე სპეციალური მოსაწევი ადგილის (ადგილების) გამოყოფა.
4. სპეციალური მოსაწევი ადგილი განკუთვნილი უნდა იყოს მხოლოდ თამბაქოს მოწევისათვის და გამიჯნული უნდა იყოს ყველა სახის სამუშაო, საკვები ან/და დასასვენებელი ოთახისა და სხვა დანიშნულების ბლოკისაგან, მოწყობილობისა და ნივთიერებისაგან, უნდა იყოს ადვილად გასანიავებელი ან ღია ფანჯრით, რომელიც გადის ღია სივრცეში (დასაშვებია ადგილის მოწყობა მხოლოდ ხელოვნური ვენტილაციით), რათა უზრუნველყოფილ იქნეს წარმოქმნილი თამბაქოს კვამლის სრული გამიჯვნა დაწესებულების სხვა ნაწილებისაგან.
5. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დაწესებულებების ხელმძღვანელები ვერ უზრუნველყოფენ დაწესებულებების ტერიტორიებზე სპეციალური მოსაწევი ადგილის (ადგილების) გამოყოფას სულ მცირე იმ პარამეტრებით, რომლებიც დადგენილია ამავე მუხლის მე-4 პუნქტით, ამ ტერიტორიებზე თამბაქოს მოწევა აკრძალულია.
6. მასობრივი თავშეყრის ადგილებიდან რესტორნებში, კაფე-ბარებსა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში დასაშვებია როგორც ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი სპეციალური მოსაწევი ადგილის (ადგილების) გამოყოფა, აგრეთვე მომხმარებელთათვის ისეთი ზონების გამოყოფა, სადაც თამბაქოს მოწევა დასაშვებია. ასეთი ზონების საერთო

ფართობი არ უნდა აღემატებოდეს მომხმარებელთათვის განკუთვნილი საერთო ფართობის 50 პროცენტს.

7. აკრძალულია თამბაქოს მოწვევის დემონსტრირება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, სხვა ბეჭდური ან ელექტრონული საშუალებით, მასობრივი ჩვენებისა და თეატრალური წარმოდგენის მეშვეობით, თუ ეს არ არის შემთხვევითი ჩაწერა ან/და შემოქმედებითი ჩანაფიქრის ნაწილი.

8. დაწესებულებათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან:

ა) შეიმუშაონ და დაამტკიცონ თამბაქოს მოწვევასთან დაკავშირებით შესაბამის დაწესებულებაში მოქმედი წესები ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ პასუხისმგებლობის სათანადო ზომების მიღება;

ბ) თამბაქოს მოწვევასთან დაკავშირებით შესაბამის დაწესებულებაში მოქმედი წესების შესახებ მასალა დაწესებულებაში განათავსონ თვალსაჩინო ადგილებში.

მუხლი 12. კანონის შესრულების სახელმწიფო კონტროლი

ამ კანონის შესრულების სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.